ოქმი N 11

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

16 აგვისტო 2024 წელი

ქ. ხობი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. ლელა ადაწაია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. მზია ლემონჯარია
7. მაკა ჩარტია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას 2024 წლის 15 აგვისტოს N 51-51242284 მოხსენებითი ბარათის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას 2024 წლის 15 აგვისტოს N 51-51242284 მოხსენებითი ბარათის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას მოხსენებითი ბარათი და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე წლის მარტში დაწყებული რეორგანიზაციის პროცესი დასრულდა. საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე მოხელის დანიშვნის შემდეგ, უქმდება საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში არსებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ უნდა იქნეს ცვლილება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **7** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განმარტებით ბარათთან ერთად ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი